რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხილიაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба"-„Иверія".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროებას" და „ივერიას" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროებას" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიას" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. წვრილი ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანების ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

მომავალს 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება"

გამოვა იმავე პროგრამმით და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების" რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба".

„დროებაზე" და „ივერიაზე" ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: | 9 მან. | სამის თვით | 3 „ |
| ნახევარის წლით | 5 „ | ერთის თვით | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

ვარშავა, 15 დეკემბერს. წმ. ჯვრის ეკლესიაში წირვის დროს ვიღაც ბოროტ პირებმა დაიყვირეს: ცეცხლი! ცეცხლიო! ამის გამო ეკლესიაში მყოფი ხალხი დაფთხა, არეულობა შეიქნა და ამ დროს 29 კაცი მოკვდა, 30 მძიმედ გალახულია და 100 მსუბუქად დაჭრილები არიან.

პეტერბურღი, 15 დეკემბერს. გაზეთებში იწერებიან, რომ სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტი ცალკე უწყებად გადაკეთდება და უფროსად ინიშნება დენერალ ჩერევინი. ტაგანროგის დამოყენის რევიზიამ აღმოაჩინა დიდი უწესოება ამ დამოყნაში საზღვარ გარეთიდამ შემოტანილ საქონლის ბაჟის გადახდაში. ყველა მოსამსახურენი ამ დამოყნისა სამართალში უნდა მიეცნენ.

1882 წლისათვის წამლების ტაქსა უნდა შემცირდეს.

## „დროების" პროცესსი.

ბ. ბალიასნის საჩივარი „დროების" რედაქტორზე და ამავე გაზეთის თანამშრომელზე ბ. ილ. ჭყონიაზე.

ტფ. სასამართლო პალატის სხდომა

15 დეკემბერს 1881 წ.

სასამართლოს შეადგენენ: თავმჯდომარე პალატისა—აკოლინი, წევრნი: მაკალო და მიხაილოვი; პროკურორი სმიტტენი და სეკრეტარი მლებროვი. ბრალდებულნი თვითონ იცავენ თავიანთ თავს; ბალიასნი მოწმედ არის გამოწვეული.

საქმის გარემოება:

1879 წლის 17 ღვინობისთვის „დროების" ნომერში (213) დაბეჭდილი იყო ბ. ილ. ჭყონიასაგან ხელმოწერილი კორრესპონდენცია იმერეთიდამ, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ეს რამდენიმე წელიწადია, რაც იმიჯნებიან ქუთაისის მაზრის ოკრიბის სოფლები და ამ გამიჯნის წყობილობით ხალხი ლამის გაღატაკდესო; განსაკუთრებით შეწუხებულია ხალხი ქუთ. სახელმწიფო ქონებათა ზამგეობის აგენტის ბ. ბალიასნისაგან, რომელი ათას-გვარ უწესოებას სჩადის, ქრთამს იღებს ხალხისაგან, ვითომ სახელმწიფო მიწებზე გლეხებს ედავება და გლეხების მიწებს ხაზინას ათვლისო და ამნაირად თითქმის მთელი ამ სოფლების მიწები სადავოდ გახადაო.

ქუთაისის ღუბერნატორმა იმ წამსვე მიაქცია ამ კორრესპონდენციას ყურადღება და ქუთ. მაზრის უფროსს მიანდო ამ საგნის შესახებ საიდუმლო გამოძიების მოეხდინა. პოლიციის გამოძიებამ დაამტკიცა სიმართლე „დროებაში" მოხსენებულ გარემოებისა. ეს ამბავი ქუთ. ღუბერნატორმა აცნობა კავკასიის სახაზინო ქონებათა მთავარ-გამგეობას და თან სთხოვა, რომ ამ ზამგეობას უფრო დაწვრილებული გამოძიება მოეხდინა თავის სანდო ჩინოვნიკის საშუალებით.

ამავე დროს (2 ნოემბერს 1879 წ.) აგენტმა ბალიასნიმ ტფ. სამოსამართლო პალატაში შეიტანა საჩივარი „დროების" რედაქტორზე სერგეი

„დროების" ფელეტონი, 17 დეკემბ.

## შენიშვნა.*)

ხალხთ ცხოვრების ისტორიული მსვლელობა ჩვეულებრივსამებრ ჰბადებს საზოგადო წყობილების სხვა-და-სხვა ნაირ ფორმებს და მათში იხატება იგი. რუსეთში ხალხის ცხოვრების ისტორიულმა მსვლელობამ დაბადა ვრცელი ბიუროკრატიული (ჩინოვნიკური) მმართველობა, რომელმანც დიდი ხანია უკვე მიაღწია თავის ძლიერების ზენიტამდინ, რომელიც ეხლა მართლად იპყრობს ცხოვრების მსვლელობას და რომელიც იმფლობელებს იქამდინ, სინამ ისტორიულივე მსვლელობა ცხოვრებისა არ გააუქმებს მას და არ შესცვლის სხვა აწინდელი ცხოვრებისაგან გამოწვეულს და ამისთვის მის შესაფერ ფორმით.

ამ ფორმის უმთავრესი თვისება არის ის, რომ მმართველობითი წყობილება დაფუძნებულია ხალხიდამ არჩევით ანუ შემთხვევით გამოკრებულ პირებზე, რომლებსაც მხოლოდ ჰხადს მართებლობა თავისად, რომლებზედაც არის დანდობილი იგი, რომელიც არის მისი ერთად-ერთი იარაღი თავის ერზე ზედმოქმედებისთვის. ამ გამორჩეულ პირთ რაზმს, გამომხატველს და აღმასრულებელს მართებლობის აბსოლიუტური ნებისა, რომელიც არამც თუ ახელმძღვანელებს ხალხის ცხოვრებას, არამედ თითონ ჰმართავს ყოველსავე მის მხარეს, აქვს განუსაზღვრელი ასპარეზი და მის შესაფერი ძალა; მისი მზრუნველობა, რომელიც სდგას მართებლობის და ერის შუა, გავრცელებულია და შემორტყმია საზოგადო ცხოვრებას. ბიუროკრატიის მზრუნველობის ქვეშ არის ყოველივე, რაიც კი აღმოაჩენს მცირედს მაინც ნიშანს ცხოვრებისას: მას აქვს საქმე ერთან, რომელიც თითქმის გარდაქცეულია თვით-მოქმედებას, და თვითმყოფ ცხოვრებას მოკლებულ მასალად.

ჩვენ აქ სახეში არა გვაქვს გამოვიკვლიოთ ისტორიულად ეს ცხოვრების დარიჯაგი მის დაბადებიდგან ვიდრე აქამომდე, განვმარტოთ ყოველივე მხრით მისი ხასიათი, მისი მოქმედება და, მით უფრო, დავაფასოთ იგი. ჩვენ მხოლოდ გვსურს დავადგინოთ შემდეგი საზოგადო დადებულება: რუსეთში ბიუროკრატიული სისტემა მრთლად იპყრობს და განაგებს ხალხის ცხოვრების გონებითს, ზნეობითს მხარეებს და თვით რელიგიურსაც—რადგანაც რუსეთის აწინდელი ეკლესია არის მხოლოდ ერთი სახელმწიფო ვამგეობათაგანი, რომელშიაც მოქმედებენ ტრაპეზის მსახურთ ღირსებებით შემკული მოხელეები; რომ აქ მართებლობა მხოლოდ ბიუროკრატიის შემწეობით ახორციელებს თვის განგებითს თვისებას, რომლის ძალითაც იგი მიეზიდება თვის ერს მის-და (ერის) შეუგნებლად და მისგან უცნობ მიზნისადმი. ეს იყეთი ჭეშმარიტებაა, რომლის უარ-ყოფა, ვგონებ, შეუძლებელია ყველასთვის, ვისაც ცოტათი მაინც შეგნებული აქვს რუსეთის ისტორია და მისი აწინდელი ცხოვრება.

ბიუროკრატიულ მეხანიზმის სახელმწიფო წყობილებაში ამისთანა დანიშნულებიდგან გამომდინარებს ის, რომ არამც თუ მის ცალ-ცალკე წყობებს, არამედ თვითეულ მის ცოტათი მაინც შესანიშნავ წარმომადგენელსაც კი შესამჩნევი გავლენა აქვს თვის მოქმედების წრეში და აქედამ ხალხის ცხოვრებაში; აქედამ წარმოსდგება ამ მეხანიზმის შემადგენელ ელემენტების ფრიადი მნიშვნელობა. წარმოვიდგინოთ, რომ ეს უკანასკნელნი იმისთანა თვისებისანი არიან, რომ მათთვის „კანონის ასოები ღმერთია და ამ ღმერთს მსხვერპლად სწირვენ თავს, როგორც ნამდვილ სარჩულს კანონებისას, ეგრეთვე კაცობრიულ ლოღიკასაც"[1], . . . . . . . .

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ ბიუროკრატიის წევრნი პატივს სცემენ კაცობრიულ თვისებებს და ემსახურებიან ერის კეთილ-დღეობას. მაშინ ისინი არამც თუ არ დასთრგუნვენ კანონთ აზრს, არამც თუ არ განაქარვებენ სასარგებლო წოდებათა შინაარსს, არამედ უფრო განაცხოველებენ მას და შეამსუბუქებენ. ამ შემთხვევაში მივიღებთ წინანდელ შედეგთ წინააღმდეგ შედეგს.

ზემოდ მოხსენებულიდამ ცხადად სჩანს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ერის მოაზრე შვილებმა ამ ცხოვრე-

*) რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო, ეს სტატია ვერ დაიბეჭდა, ისე როგორც ჩვენ გვინდოდა. რედ.

[1]) იხ. სტატ. „მიხედ-მოხედვა ჩვენის ცხოვრების მოვლინებებზედ" („დროება", № 241).

მესხზე და ზემოხსენებულ კორრესპონდენციის ავტორზე Ილია Ჭყონიაზე რომელთ სასამართლოში მიცემასა და, „დასჯათა წესდების მე-1039 მუხლის ძილით, დასჯას თხოულობდა.

(1039 მუხლში მოხსენებულია: „ვინც ბეჭდვით გამოაცხადებს რომელიმე კერძო ანუ თანამდებობის პირზე, ანუ საზოგადოებაზედ და ანუ დაწესებაზედ ისეთს გარემოებას, რომელიც ამათ კეთილ სახელს, პატივს ანუ ღირსებას შეურაცხყოფს, — დამნაშავე დაისჯება: ჯარიმის გადახდით არა-უმეტეს ხუთასის მანეთისა ანუ საპყრობილეში ჩასმით ორი თვიდამ ერთის წლისა და ოთხის თვის ვადით, ანუ ერთ-ერთ ამ სასჯელით“).

ზემოხსენებულ საჩივრის ძალით „დროების“ რედაქტორი და იმის თანამშრომელი პალატამ მისცა სასამართლოში და ბრალდებულთ ჩააბარეს შემდეგი

გამამტყუნებელი აქტი:

„Აგენტმა და მზრუნველმა ქუთ. გუბ. 1 განყოფილების სახელმწიფო ქონებათა გამგეობისა ნადვორნი სოვეტნიკმა ბალიასნიმ 1879 წ. 2 ნოემბერს ითხოვა სამართალში მიცემა ქუთ. მცხოვრების Ილია Ჭყონიასი „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხისა იმისათვის, რომ პირველმა ამათგანმა დასწერა და მეორემ დაბეჭდა და „დროების“ № მე-213-ში სტატია, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს იმას, ბალიასნის, ვითარცა თანამდებობის პირს, სახელდობრ იმისთვის, რომ იმ სტატიაში მოხსენებულია, ვითომც ბალიასნი, Ოკრობის გამიჯვნის დროს, აწუხებდა ადგილობრივ გლეხებსაო და მხოლოდ იმ შემთხვევაში არ აცხადებდა დავას გასამჯნავ ადგილებზედ, როდესაც ამ ადგილების პატრონები ქრთამს აძლევდნენო.

„მოხსენებული გარემოება ნამდვილად არის დაბეჭდილი „დროების“ მე-213 ნომერში, როგორც კორრესპონდენციის თარგმანიდამა სჩანს.

„Წინასწარ გამოძიების დროს „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმა და კორრექტორმა და შემდეგ თანამშრომელმა Ილია Ჭყონიამ დამნაშავედ არ აღიარეს თავის თავი და გამოაცხადეს, რომ ისინი დაწერილობითის დოკუმენტებით დაამტკიცებენ სასამართლოში ყველაფერს, რაც ბალიასნიზედ არის თქმული გაზეთში.

„Ამის გამო და თანახმად 1138 მუხ. XV ტ. კანონთა კრებისა, გამოც. 1866 წლ., რედაქტორი გაზ. „დროებისა“ სერგეი სიმონის-ძე მესხი და ამავე გაზეთის კორრესპონდენტი Ილია მირიანის-ძე Ჭყონია მიეცემიან Თფ. სასამართლო პალატის სამართალში „Დასჯათა წესდების 1039 მუხლის დარღვევისათვის.“

Ამ გამამტყუვნებელ აქტის სეკრეტრისაგან წაკითხვის შემდეგ მოწამე ბალიასნი დაათვალიერეს და ჩამოართვეს ჩვენება.

მოწმე ბალიასნის ჩვენების უმთავრესი აზრი იყო შემდეგი: მე გამამწესეს ჩემს თანამდებობაზედ 1875 წ., როდესაც ა/ავითარი წესდება და ცირკულიარი არ მქონია, არ ვიცოდი—როგორ უნდა შემესრულებინა ჩემი თანამდებობა და რა რიგად დამეცვა Ოკრიბის გამიჯვნის დროს ხაზინის ინტერესები. Ერთი მხოლოდ დედა-აზრი მქონდა ხელთ-სამძღვანელოდ: ვინც კანონიერად დამტკიცებულ საბუთს არ წარმოადგენდა რომელსამე მამულზე, ამის უფლებას არა ალვიარებდი და მამულის სახაზინოდ ჩათვლას ვთხოულობდი. Ამის გამო ყველა მემდუროდა, ყველა მიჩიოდა. Ამ დროს გამოვიდა „დროების“ მე-213 ნომერში სტატია ჩემს მოქმედებაზე, სტატია სავსე ცილის-წამებითა და სიცრუით. მთავრობამ გამოძიება დანიშნა ჩემს მოქმედებაზე და ეს გამოძიება ჯერაც არ არის გათავებული. მე შევიტანე ქაღალდი, რომ რადგან Იმერეთის ხალხში სამსახური არ შემიძლიან, ამის გამო ან სხვა გუბერნიაში გადამიყვანონ და ან სულ გამათავისუფლონ თანამდებობიდგან. Სხვაგან ადგილი არ მომცეს და იძულებული ვიყავ, ავათმყოფობის გამო, გამოვსულვიყავ სამსახურიდგან. მას აქედ მე Ერევანში ვცხოვრობ, ვექილობა დავიწყე და ისე ღარიბი ვარ, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს ვიღებ დასაცველად, რადგან იმდენი ქონება არა მაქვს, სამოქალაქო საქმეების წარმოების უფლებისათვის დანიშნული ფული შევიტანო სასამართლოში. მე მყავს ცოლი და წვრილ-შვილი; ოც-და-შვიდი წელიწადი ჩირქ-მოუცხებლად ვმსახურებდი და თუ ქრთამი ამელო, ისე ლატაკად არ გამოვიდოდი სამსახურიდამ, როგორც ლატაკად შევედი.... Იმედი მაქვს, ჩემი შეურაცხყოფისათვის ღირსეულ სასჯელს მიაყენებთ დამნაშავეებს...

სასამართლოს თავს მჯდომარემ პროკურორსა და ბრალდებულთ ჰკითხა—თუ რამე ჰსურს ჰკითხონ მოწმესაო. Უარი გამოაცხადეს.

პროკურორმა მოითხოვა, რომ წაკითხულ იქმნას თარგმანი იმ კორრესპონდენციისა, რომლის გამოც დღევანდელი პროცესი ატყდა, სასამართლომ ნება დართო და სეკრეტარმა წაიკითხა.

შემდეგ წააკითხეს სამი ოფიციალური დოკუმენტი, რომელნიც ბრალდებულთ ს. მესხმა და Ი. Ჭყონიამ წარადგინეს ბალიასნის შესახებ.

Პირველი ამ დოკუმენტთაგანი არის პირი ბ-ნ ქუთაისის ღუბერნატორისაგან კავკასიის სახაზინო მთავარ-გამგეობისადმი მიწერილის ქაღალდისა, რომელიც წელან მოვიხსენიეთ და რომელშიაც ბ-ნი ღუბერნატორი იწერება, რომ, „დროების“ მე-213 ნომერში დაბეჭდილ კორრესპონდენციის თაობაზედ, მოვახდინე პოლიციური გამოძიებაო და რადგან ამ გამოძიებით მტკიცდება ბალიასნის ბოროტმოქმედება, ამის გამო საჭიროა უფრო დაწვრილებით გამოიკვლიოს ეს საქმეო.

მეორე დოკუმენტში ჩამოთვლილია ის ბოროტ-მოქმედება და უკანონობა, რომელიც ჩაუდენია ბ. ბალიასნის სოფ. Დაბაძველის გამიჯვნის დროს. Ზოგი სახაზინო მამულები კერძო პირებისათვის დაუსაკუთრებია და ზოგიც კერძო პირების მამულები სახაზინოდ ჩაუთვლია. Კავკასიის სახაზინო ქონებათა გამგეობა ამ ქაღალდში დიდ საყვედურს უცხადებს ქუთაისის სახაზინო ქონებათა გამგებელს ბ-ნ კაზაკოვს, რომ ამ ბალიასნის ბოროტ-მოქმედებას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეთო, პასუხი არ მოსთხოვეთ იმასაო. Ამავე ქაღალდში ორ ჯერ სწერია, წინადადება მიეცით ბალიასნისო, რომ ახლავე შემოიტანოს სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდიო და სხვ.

ბის ფორმის შესახებ. მათ უნდა მიიღონ—ძალაა თუ ნება—ეს ფორმა, როგორც ფაქტი, რომელიც არსებობს, რომელსაც კიდევ უძს არსებობა და ა) ეცადნონ მეცნიერულის გამოკვლევით დააფასონ იგი, როგორც ისტორიული ფაქტი, გამოიკვლიონ ყოველის მხრით ცხოვრებაზედ მისი ზედგავლენა, დაამტკიცონ და ცხადად დაანახონ როგორც აბსოლიუტურად მმართველ ძალას, ისე ყველას მისი სიძველე და ცხოვრების უკვე უკან ჩამორჩომა; მეცნიერულად აღნიშნონ ის ახალი ფორმა, რომლითაც ჯერ არს შეიცვალოს ეს ძველი. Ეს პირ-და-პირი ვალია იმ მოწინავე გუნდის პირებისა, რომელნიც ჰგრძნობენ თავისში ამისთანა შრომის ძალას. ბ) ეცადნონ ამ ფორმიდამ გამოუტანონ ერს მრთლად ის სიკეთე, რომლის გამოტანაც კი შესაძლოა და აგრეთვე შეუმსუბუქონ მას ეს უღელი, რაც შესაძლოა მაშინ, როდესაც ისინი თვითონ მოჰკიდებენ ხელს ამ მძიმე საქმეს და მით შეძლებისავარად გასდევნიან ამ წრიდამ ბოროტის მომტან ძალას.

Ამასთანავე ეს მოქმედნი პირნი უსათუოდ უნდა რჩებოდნენ თავის ნიადაგზე, რადგან ისინი, მოშორებულნი თავის ნიადაგს და გადაყვანილნი სხვა მხარეს, უმეტესად ჰგრძნობენ თავის თავს ხალხთან მხოლოდ საზოგადო კაცობრიულს კავშირებით დაკავშირებულად; წინააღმდეგ შემთხვევაში-კი ამ კავშირებას ემატება, ესე ვთქვათ, ოჯახური, ნათესაეობითი კავშირები, რადგან მათ უფრო ზედ-მიწევნით იციან თავის ნიადაგი, რაც უეჭველად იქონიებს გავლენას მათ მოქმედებაზე.

საქართველოს . ბიუროკრატიული სისტემა მმართველობისა . . . . . . . . . . . ისევე, როგორც რუსეთში. მაშასადამე ყოველივე, რაც კი ზევით საზოგადოდ ითქვა ცხოვრების ამ ფორმაზე და მოწინავე პირთ მოქმედებაზე, უნდა ითქვას შესახებ ჩვენი ხალხის ცხოვრებისაც, ე. ი. ჩვენი მოწინავე საზოგადოება ვალდებულია მიიღოს ეს მმართველობითი სისტემა, . . . . . . . . . და ეცადოს ა) მეცნიერულად განმარტოს, იგი, როგორც საზოგადოდ, ეგრეთვე კერძოდ: რადგან ამ სისტემას, როგორც სხვაგან გამომუშავებულს, საზოგადო შედეგებს გარდა ჩვენში აქვს კერძო, განსაკუთრებული შედეგი; ბ) შეუმსუბუქოს . . . . . . . ერს ეს უღელი—შევსებით ამ ცხოვრების ფორმისა ადგილობრივ მოწინავე მოქმედ პირებით.

Ამ-გვარის აწინდელ ბიუროკრატიულ მმართველობაზე შეხედულობის შედეგი იქმნება ის, რომ აწინდელ ადმინისტრაციის მაგივრად, და ხან ყველა ესენი მიაქვს მსხვერპლად თავის კერძო მდაბალ ლტოლვილებათათვის, მივიღებთ ადმინისტრაციას, რომელიც, პირიქით, ეცდება შეავსოს კანონი წმინდა გრძნობებით და პრაქტიკული ნიჭით შემკულ „ჩინოვნიკებს,“ როგორიც არის სვიმონი, გამოყვანილი მოთხრობაში „ელგუჯა;“ მაშინ მივიღებთ უფრო მაღალს და თანაგრძნობის ღირსს მოხელეთ (ჩინოვნიკის) ტიპს, რადგან მასში წმინდა გრძნობები და პრაქტიკული ნიჭი იქნება ამაღლებული საფუძვლიანის განათლებით. მაშინ შესაძლო იქნებოდა მოხელეთ დიდი გავლენა ჰქონიყოთ ხალხზე, რადგან ის კარგად ჰხედავს მათ მნიშვნელობას და როცა ამასთან ის გრძნობა მათ მისადმი ნამდვილ პატრონულ მზრუნველობას ეს დაჰბადებდა მასში მათდამი დიდ პატივცემას და ყველაფერში მიჰყვებოდა; მაშინ თვით „შემოსავლიანი ადგილი“ არ იქმნებოდა საგმობელი, რადგან მამონა ბუნებით არც კეთილია, არც ბოროტი, ხოლო კაცის მასზე შეხედულობა და მოხმარება აძლევს მას ერთი-ერთ ამ თვისებათაგანს და ამ შემთხვევაში ის მიიღებდა კეთილ თვისებას, რადგან ის მიზანი-კი არ იქმნებოდა, არამედ იქმნებოდა კეთილი მიზნისადმი მისახწევი საშუალება.

Ახლა იხილეთ წინააღმდეგი ქცევის შედეგი. Წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი საზოგადოება ცდილობს „რათა თავიდამ ააცილოს ახალ-გაზრდობას“ [2]), ე. ი. იმ ახალ დგმას, რომელსაც უფრო შეთვისებული აქვს კაცობრიული აზრები და გრძნობანი, რომელიც . . . . . . , . . რომ ახალ-გაზდებიც მოვალეედ ხდიან თავს „ამ მახეს ასცილდნენ“ [3]); წარმოიდგინეთ, რომ ეს შეერთებული საზოგადოების და ახალ-გაზრდობის „ურთიერთობა... ამ წრეში ჩადგომისა“ [4]) და მისგან „განრინების“ სურვილი და ცდა დაგვირგვინდა ამ სურვილის და ცდის შესრულებით: რომ თვით ის განათლებულნი და ხალხის ერთგულნი პირნი, რომელნიც უკვე არიან ამ წრეში, განერინენ მას. . . . . . . . . . . . . . . ფორმა, რომელიც იპყრობს ამ ცხოვრების ყოველსავე მხარეს?—სრულებითაც არა.

---

[2]) იქვე.

[3]) იქვე.

[4]) იქვე.

მესამე დოკუმენტი არის ქუთაისის სახაზინო ქონებათა გამგეობის მოხსენება კავკასიის სახაზინო მთავარ-გამგეობისადმი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ სასამართლო საქმეებისათვის ხაზინისაგან დანდობილ პირმა ბ-ნმა ბექან-ბეგოვმა გამოიძია აგენტის ბალიასნის მოქმედება, ოკრიბის გამიჯვნის დროს, და ამ გამოძიებით ბალიასნის ისეთი ბოროტ-მოქმედებანი ბრალდება, რომლისთვისაც ის სისხლის სამართალში მისაცემი, ყოველ ღირსებას ჩამოსართმევი და ციმბირში გასაგზავნიაო; ამის გამო ახალი გამოძიება არის საჭიროვო.

ამ ოფიციალურ დოკუმენტების წაკითხვის შემდეგ სასამართლოს თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ გამოძიება გათავებულიაო და პროკურორს დაუთმო სიტყვა.

(დასასრული სხვა)

## ახალი ამბები.

შემდეგ უბედურ შემთხვევას გვწერენ ზემო-იმერეთიდამ:

„ამ თვის 11-ს სოფ. რგანში იქ, სადაც შავ-ქვის მადანზე მუშაობენ მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი:

„შავ-ქვის გამოსატანად მიწაში გაყვანილია რამდენიმე საჟენზე ტონელი, საიდგანაც მუშათ პატარა გოგორგოლიან ურმით გამოაქვთ მარგანეცი. ერთი ამ ტონელთაგანი ყოფილა ახალი გაყვანილი და ზევით ცა ისევ გაუმაგრებელი ჰქონია.

„რადგანაც მუშებს მეორე დღეს ადრე ნდომებიათ მარგანეცის ზიდვა, იმ საღამოსვე შესულან თავის ბარგით ამ ახალ გაშენებულ ტონელში, რიცხვით ცხრა კაცამდე, დაუნთიათ შიგ ცეცხლი, შემოსხდომიან გარს და მიუყვიათ ხელი თავისებურ ტკბილ მუსაიფისათვის. ამ ტკბილ მუსაიფის დროს, უეცრად ტონელის ცა ჩამოწოლილა და აქ მყოფნი მუშები მიწის ქვეშ მოჰყოლიან.

„ცხრა კაცში გამოიყვანეს სამი მკვდარ-ცოცხალი და დანარჩენი ექვსი კი იქვე მომკვდარან.“

* * *

27 ნოემბერს შესდგა საფრანგეთის ქალაქს ლიონში კავკასიის ნავთის შესამუშავებლად აქციონური კამპანია, რომლის თავსმჯდომარედ აქციონერთა კრებამ ამოარჩია ბ. ნოვოსელსკი და იმის ამხანაგად ვლადისლავ ზბიშევსკი.

ამ კრების დროს ლიონისა და ლოარის ბანკის გამგებელმა სავაროძ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ კავკასიის ნავთის წარმოებას ისეთივე ბრწყინვალე მომავალი მოელის, როგორც ახლა ამერიკის ნავთის წარმოება არისო.

კამპანია ახლავე შეუდგა ამ საქმის ყოველ გვარ განკარგულებას, რადგან უნდათ მზად იყვნენ იმ დროისათვის, როდესაც ბაქოს რკინის გზა დაიწყებს მოქმედებასაო.

ამას გარდა შესდგა საზოგადოება, რომელიც კასპიის ზღვითა და შავი ზღვიდამ ევროპაში ნავთის გადასატანად განსაკუთრებულ ცეცხლის გემებს აკეთებს.

* * *

ბურიიდამ გვწერენ, რომ სოფელ ბასილეთის მღვდელმა მ. ი. ი—უამ მარჩიელობა დაიწყოვო, ბნედის ექიმობას სჩემობსო. და ამით ატყუებს ხალხსაო.

თუ სულიერი მამა ამას სჩადის, სხვას ვის რაღა მოეთხოვება.

საზოგადოდ ჩვენ[ი]ა მღვდლებმა ერთობ აიშვეს თავი და, თუ მალე ეპისკოპოსი არ დაგვინიშნეს; ცუდად წავა ჩვენი სასულიერო საქმეებიო.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

ჩიბათი, 8 დეკემბერს. ჩიბათის სოფ. სასწავლებელი დიდს გაჭირვებაშია. იმას პირველ შეხედვით შეატყობ, რომ კარგი მოთავე პირები აკლია. სკოლის შენობა სიგრძით 12 არშინია, სივრცით 10, სიმაღლით საჟენზედ ნაკლები; იატაკი და ჭერი აბნეული აქვს, მრავალ-გზის მოსწავლეების თავი კინაღამ გაუხეთქა ჭერიდამ გადმოჭრილმა ძელმა. კარები სოფ. ქოხის კარის მსგავსი აქვს, ფანჯრები დანტვრეული, ბუხარი ერთი აგურით დაროხილი შეულესავათ, ძრიელ თუ არ უფრთხილდი თითის მიკარებით აგურები თავზე დაგენგრევა. ბალკონი უკოჭოდ, კიბე არა. სართულს გარედან შეხედავ მიზეზი არ უნდა ჰქონდეს, შიგ თუ შებრძანდი, წვიმის დროს, ეგებ სადმე თავის შესაფარი იშოვნო, რომ მშრალად დარჩე. მებელებს თუ იკითხავთ ყველა თუ არა, რამოდენიმე მაინც არის მაგალითად: ცხრა პარტები თითოს ექვს ექვსი არშინი სიგრძე აქ, ჩამოსაჯდომი გვარიანი, ფეხის დასადგამი არა. კლასის დაფა სამს ფეხზედ დგას და ცოტა კი აჩნია შენალებავი. მასწავლებლის სტოლი თხმელას ფიცრისაა, ფეხების დასამაგრებლად გამოთლილი თხმელას ჯოხები მიუჭედიათ, არსად გაიქცესო; სკამი არა—ამაზე იფიქრეთ მკითხველო, შესაძლებელია ამისთანა სკოლაში გამართოს სწავლა მასწავლებელმა თუ არა? ხშირად გამოერევა იმისთანა დღეები ზამთარში, რომ ორ მოსწავლესაც ვერ ნახავ კლასში. რისთვის? მისთვის რომ წიგნს ვერ დაიკავებს ხელში და კალამს, სიცივე კბილებს არახუნებინებს ერთმანერთზედ. შეშა არაა, რომაც იშოვნო, რაში გინდა რომ დაანთო, ბუხარში ისრე წვიმს როგორც ტრიალ მინდორში. იტყვის ვინმე, ვინაა მიზეზი ამისთანა სკოლის დაცემულებისაო!? ამის მსჯელობა თვით მკითხველისთვის მიმინდვია.

1878 წლის სეკტემბრის თვეში, ბატონის ოზურგეთის უეზდის მჰართველის განკარგულებით საზოგადოებამ დაიწყო ახალი კლასის შენობა და როდესაც, თითქმის ნახევარი ააშენეს თავი დაანებეს და ამ ნაირად ის შენობა იმ დროიდამ დაწყებული აქნობამდე გაფუჭდა.

ამ უკანასკნელ დროს ნახა რა ამისთანა სკოლის დაცემულობა კიდევ გამოუცხადა საზოგადოებას უფ. პოლიციის პრისტავმა ნოე ჩიგოგიძემ, რომ გაზაფხულისათვის ეცადონ ახალი შენობის გაკეთებას და ამ დროით კი ძველი შეაკეთონ. ახალი კლასის შენობა მე აღარ მეღირსა, ძველი აღარ შეაკეთეს და ამ ნაირად მე, მოსწავლებითურთ, მრავალ განსაცდელს ვთმობთ.

ვლადიმერ კანდელაკი.

---

მას ამისთანა ზურგის შექცევით ძალა და სივრცე იოტის ტოლადაც არ შეუმცირდება. მხოლოდ აი რა იქნება ამის შედეგი: რადგან კეთილი ელემენტების ამ ფორმაში შემდინარება შესწყდება, რადგან, მეორე მხრით, მუნ მყოფნი კარგი ელემენტები გამოვლენ, ამისთვის იმაში გაჩნდება მრავალი ცარიელი ადგილები, რომელნიც უმალვე შეიმსებიან ზემოდ ნაჩვენებ ბნელ ელემენტებით.

ამ გვარად ეს ქცევა არამც თუ არ შეამცირებს უგვან მოხელეთ რიცხვს, არამედ გაამრავლებს: ბიუროკრატიული ფორმა მმართველობისა ისევ ხელ-უხლებლად დარჩება, მხოლოდ იმისი შემადგენელი ბნელი ელემენტების რიცხვი; . . . . . . . . . . . . . . . „როგორ აიცილოს ჩვენმა საიმედო ახალ-გაზდობამ სხვაგან ჩინოვნიკობა“ 5), ესე იგი: როგორ უნდა მოახერხოს, რომ გაებას სამსახურში თავის ქვეყანაში?

თავიდგან ჩვენი პირ-და-პირი მიზანი იყო მხოლოდ აგვეხსნა ის, თუ რამდენად განუსაზრელად იყო დადგენილი კითხვა, რა უკიდურესობაში შეეძლო მას შეეყვანა და გვეჩვენებინა, თუ როგორ უნდა დადგენილიყო, ჩვენის აზრით, კითხვა, ამისთვის ჩვენ ამით ვკმაყოფილდებით და ამ კითხვაზე მხოლოდ საზოგადო პასუხს მივცემთ.

ა) რადგანაც მართებლობა . . . ამ ახალ-გაზდობას . . . . . . მას—ღარიბს — აძლევს ცოტაოდენ შეძლებას სწავლის გასაგრძობად, ამისთვის ცხადია, საზოგადოებამ . . .

ბ) განუმარტოს მთავრობას, რომელსაც ყმაწვილი ეუბნება: „ოთხი-ხუთის წლის გაჯახირებით ცხოვრებისათვის ექვს წელიწადს გემსახურებიო“, რომ უფრო სასარგებლოა მან ეს სამსახური გააწევინოს ყმაწვილ-კაცს თავის ქვეყანაში; განუმარტოს, მოსთხოვოს, როგორმე დაითანხმოს ის ამაზე.

გარდა ამისა, რადგანაც ეს ბიუროკრატიული მმართველობა თხოულობს ერთობ ბევრ მოხელეებს, სხვათა შორის ამისთვის საზოგადოება უნდა ცდილობდეს ნათქვამი ნათელი ელემენტების გამრავლებას. თვით ჩვენგან აღნიშნული გეგმი მოქმედებისა შეადგენს ერთს ამ მიზნისადმი მისაღწევ საშუალებათაგანს, რადგანაც მის ძალით ოფიციალური სასწავლებლები შეიმსებიან ღირსი ადგილობრივი მოხელეებით, რომელნიც, ეჭვი არ არის ეცდებიან, . . . . .

ჩვენ გვსურს, ბოლოს, მივაქციოთ მკითხველის ყურადღება შემდეგ მსჯელობაზედ:

„საიმუშაოს შრომით სიცოცხლე მას („ყმაწვილ კაცს, რომელიც ათავებს საქალაქო სასწავლებელს, გიმნაზიას და უნივერსიტეტს“) არ შეუძლებია, რადგანაც შრომისთვის მოუმზადებელი ბრძანებულა, არაფერი სცოდნია იმისთანა და ისე, რომ მისი გამოყენება შესძლებიყო! მთელი მისი „ცოდნა“ და „მეცადინეობა“ მხოლოდ ატესტატისა და დიპლომისთვის ყოფილა გამოსადეგი“ 6).

ესეთი საზოგადო მკაცრი მსჯელობა ერთობ პესსიმისტური და უსამართლო გახლავსთ. გაიხსენეთ, ბატონო, რომ ჩვენი მწერლობა, რომელსაც უცილოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის, „ჩვენი ინტელიგენციის „მეჩხერი“ რაზმის საუკეთესო წარმომადგენელნი, რომელთ შემწეობით ჩვენი ცხოვრების არსობითი საქმეები უფრო მტკიცედ იდგინებიან ეროვნულ ნიადაგზედ“ 7), უმეტეს ნაწილად შესდგება ამ კურს-შესრულებულთაგან.

ერთიც. მკითხველის სმენაზე გარმონიულად ვერ მოქმედობენ ამისთანა ფრაზები:

„თითქმის საბოლოოდ გარდაწყვეტილი გახლავს უპირველესი და გარდაუვალი ჩვენის ახალგაზდობისაგან იმ წოდების წრეში ჩადგომისა, რომელიც არა თუ „მას ჭამსა შინა“, არამედ გუშინაც კი პატივცემაში გახლდა ქართველთ-შორის. ეს წოდება გახლავსთ ჩინოვნიკობა“. 8)

„ყველა სასწავლებელთ დასრულებული ქართველნი ახალგაზდები მიესწრაფებიან ჩინოვნიკობას“. 9)

ნეტა რას მოგახსენებთ? ამ ორ-გვარ ერთი და იგივე კალმით, ერთსა და იმავე საგანზე, ერთსა და იმავე სტატიაში მსჯელობების შუა თითქო წინააღმდეგობა გახლავსთ.

გ. ბ—ვი.

დეკემბრის 6-ს.

---

5) იხ. „შრომა“ № 9 ნომერი ქ. ბატალპაშინსკიდამ.

6) იხ. სტ. „მიხედ-მოხედვა“ ჩვენის ცხოვრების მოვლინებაზედ („დროება“ № 241).

7) იქვე.

8) იქვე,

9) იქვე.

# განცხადებანი

ახლად გაღებულს **სან. პეტერბურღის საქალებო მოდის მაღაზიაში** მივიღეთ დიდ ძალი, ქალის ზემოდან ჩასაცმელები, პალტოები, ტალმები, დოლომანები, კერასები, დაბამბული პლიუშით მოკერილები, ზამთრის ბეწვის შლიაპები და მუფთები. აგრეთვე ვიღებთ ყველა ნაირს შეკვეთას. ყველაფერი უფრო იაფად ისყიდება, ვინმე სხვა თფილისის მაღაზიებში. მაღაზია იმყოფება არწრუნის ზემო გალერეიაში №№ 104, 195 და 196.

იმედი გვაქვს, თფილისის საზოგადოებამ მიაქციოს ამას ყურადღება. (3—2)

---

ქალაქის

# გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 21 რიცხვს ამ მდგომარე დეკემბრისა, დილის 12 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა ავლაბრის საქალაქო მამულის იჯარით გაცემაზედ გაჯის საწარმოებელად, ორის წლის ვადით. გამგეობა სთხოვს პირთა, რომელთაც ჰსურს აიღონ იჯარით ხსენებული მამული, მოვიდნენ გამგეობის კანცელიარიაში და შეიტყონ დაწვრილებითი პირობანი ამ საქმის შესახებ. (3—1)

---

**ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ**

**ГАЗЕТА**

## „МШАКЪ“

НА АРМЯНСКОМЪ ЯЗЫКѢ.

**ГОДЪ ОДИНАДЦАТЫЙ**

Въ 1882 году будетъ издаваться по прежней программѣ и въ томъ-же объемѣ

**ЕЖЕДНЕВНО**

ВЪ ТИФЛИСѢ

**ПРОГРАММА:**

I. Правительственныя распоряженія. II. Передовыя статьи. III. Внутренній отдѣлъ. IV Внѣшній отдѣлъ V. Телеграммы VI. Смѣсь VII Фельетоны. VIII. Справочный указатель. IX Объявленія.

**Подписная цѣна:** на годъ 10 р., пол-года 6 р, пять мѣсяцевъ 5 р., четыре мѣсяца 4 р., три мѣсяца 3 р., два мѣсяца 2 р., и одинъ мѣсяцъ 1 р.

Редакторъ-издатель **Г. Арцруни.** (3—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა** უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.** (100—97)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან., და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—50)

---

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი— 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—33)

---

მომავალს 1882 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „შ რ ო მ ა“

გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც წრეულს გამოდის.

**გაზეთის პროგრამმა:**

I სტატიები თანამედროვე კითხვებზედ, II ტელეგრამმები, III ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები, V ქრონიკა ადგილობრივის თვითმმართველობისა, VI შინაგანი და გარეგანი წერილები, VII საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX ფელეტონი: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები, X ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხრისა, XI სამსაჯულო ცნობები და შენიშვნები, XII ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალს საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, ხანდისხან დამატებით.

**გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით:** ერთის წლის—შვიდი მანეთი, ნახევარის წლის—ოთხი მან., სამის თვის—ორი მან. და ხუთი შაური.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

**ქ. ქუთაისში:** 1) გაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) პ. გ. წულუკიძის სტამბაში, თფილისის ქუჩაზედ, ერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში.

**ქ. თფილისში:** შავერდოვის გაზეთის სააგენტოში:

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თავ. დიმ. ელ. დადიანი.

(5—3) გამომცემლები: თ. დიმ. ე. დადიანი და დიმ. ალ. ნაზაროვი.

---

**ლონდონის მაღაზია** [illegible] ბანკის ქვეშ დაარსებულ[illegible] ნამდვილ[illegible] გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას გიარები. (100—50)

---

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—74)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—74)

---

# აბონემენტი

**ქართული თეატრისა**

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წ.

**ფასი დაკლებულია:**

| | | |
|---|---|---|
| ლოჟ. და შუა ლოჟ. | 54 მ. | —60 მ. |
| ლოჟ. № 1,2,19,20 | 30 მ. | —42 მ. |
| დანარჩენი ლოჟები | 36 მ. | —48 მ. |
| კრესლო 1 რიგისა | 15 მ. | —18 მ. |
| კრეს. 2 და 3 რიგასა | 10 50 მ. კ. | —12 მ. |
| სკამი მესამე რიგ. | 4 50 | — 6 მ. |

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის.

ქართული თეატრის გამგენი { ვ. აბაშიძე, კ. მესხი.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Декабря 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი